



რესურსეფექტური და სუფთა წარმოების განვითარება საქართველოში

რესნ მეთოდოლოგია

რესურსეფექტურობა და სუფთა წარმოება (რესნ) წარმოადგენს პროდუქციის წარმოების პროცესებში და სანარმოო სერვისებში ინტეგრირებულ უწყვეტად გამოსაყენებელ პრევენციულ გარემოსდაცვით სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს ეფექტურობის გაუმჯობესებას და ადამიანებსა თუ გარემოზე რისკების შემცირებას. რესნ - გულისხმობს წარმოებას ნაკლები რესურსებით, გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციას და მთლიანი პროდუქტიულობის გაზრდას. **მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის** რესნ მეთოდოლოგია ეფექტური საშუალებაა წარმოების ხარჯების შესამცირებლად, მათი კონკურენტული უპირატესობის გასაუმჯობესებლად, ეკოლოგიურად სუფთა მიდგომების გამოსაყენებლად, სანარმოებში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დასაწერგად და პოპულარიზაციისთვის.

შპს „ლიდერ პლასტი“ - პლასტმასის ნივთების წარმოება



კომპანიის მიმოხილვა

მდებარეობა: მცხეთა, მცხეთა-მთიანეთი
პროდუქცია: პლასტმასის ნივთები
თანამშრომლების რაოდენობა: 17
ძირითადი ბაზრები: საქართველო
დაარსების წელი: 2015



„ლიდერ პლასტი“ არის პლასტმასის ნივთების მწარმოებელი კომპანია. მისი პერსონალი აქტიურად იყო ჩართული რესნ კლუბებთან დაკავშირებულ აქტივობებში, მათ შორის ტრენინგ კურსებზე, რომლებიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: გარემოსდაცვითი პროფილი, ენერგოეფექტურობა, წყლის და ქიმიკატების რაციონალურად მოხმარება და ჩამდინარე წყლების მინიმიზაცია, მასალების ეფექტურად გამოყენება, სანარმოო ნარჩენების და სახიფათო ნარჩენების შემცირება. კურსის დასასრულს კომპანიამ შეიმუშავა რესნ სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა რვა რესნ ღონისძიებას. პანდემიის გამო სანარმოსთვის რთული იყო შიდა ფინანსური რესურსების მობილიზება და ინვესტიციების ან შესაბამისი სესხების მოძიება რესნ ღონისძიებების განსახორციელებლად. რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებისა და ენერჯის მოხმარების შემცირების მოტივით, კომპანია მონაწილეობდა EU4Environment-ის მიერ დაფინანსებულ რესნ კლუბების პროგრამაში (2019-2024). წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია კომპანიის მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია.

რესნ ღონისძიებების განხორციელებით მიღებული სარგებელი



